სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1051

დამატების № 185

კვირა, 24 ნოემბერი 1913 წ.

მწუხარება. (ქანდაკება).

რომანტიული თავგადასავალი ვახტანგ დევრიანისა

(დასასრული *)

მაგრამ წარსული იყო და ელენე ხან და ხან მწვავედ გრძნობდა მის სიმძიმეს, როგორც გრძნობს ქვის ლოდს მიცვალებული, როცა ის საფლავიდან ამოსვლას ჰლამობს. აი მან ჰნახა სამოთხე, დასტკბა კეთილი ღმერთის ღიმილით, ქერაბიმთა გუნდის გალობა მოისმინა. მაგრამ მაინც სააქაო ცხოვრება სწყურიან, ხორცშესხმულ ცოდვილ მომაკვდავებთან ყოფნა უნდა. მას სცივა იმ წმინდა სფეროებში, მას უნდა ადამიანური სიყვარულით და სიძულვილით გასთბეს. და ის სასოწარკვეთილებით აკაკუნებს სასაფლაოს კარებზე. მაგრამ ცოცხალთ არ ესმით ეს კაკუნი და უზრუნველად სხედან ლოდის ზედაპირზე.

უფრო მწვავედ ამ სიმძიმეს ელენე საღამოობით გრძნობდა. დედამიწაზე გრძელი ჩრდილი წვებოდა და თან და თან სრულიად აბნელებდა მას. ჩრდილიდან კი ნელ-ნელა შავფრთიანი ღამურები იბადებოდნენ.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 184.

ხან და ხან მზე ჩასვენებისას, როცა მინდორი უკვე დაჩრდილული იყო, რამოდენიმე წუთით ყვითლად ანათებდა მაღალი ნიგვზებისა, ცაცხვებისა და წიფლების წვეროებს. ეს იყო მისი უკანასკნელი მკრთალი ღიმილი. ელენემ იცოდა, რომ სოფლის ხალხი ამ უსიტყვო სინათლეს მკვდრის მზეს უწოდებდა. და მას ეგონა, რომ ამ დროს, ხის შტოებს შუა ნათლად ჰხედავდა მიცვალებულთ, რომელნიც ამაოდ სცდილობდენ ცოტა ხნით მაინც გაეთბოთ თავისი ცივი ჩონჩხები. სხეული შიშისაგან თრთოლას უწყებდა: ზეზე დგებოდა და თვალებზე ხელებ აფარებული ოთახში შედიოდა უკან მოუხედავად.

რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მოუსვენარი ჰხდებოდა მისი ძილი. შუაღამისას ხშირად ეღვიძებოდა მოულოდნელი მუჯლუგუნის გავლენის ქვეშ. გული აჩქარებით უცემდა, სული ეხუთებოდა, შუბლზე ცივ ოფლსასხამდა. ფართედ თვალებ დაღებული ჩაკეტილ კარებს აცქერდებოდა. ეშინოდა რომ რაღაც მანქანებით კარი გაიღება და ოთახში შემოვა ურცხვად გატიტვლებული მამაკაცი საშინელი ლაქით პირისახეზე. პირს კედლისაკენ იბრუნებდა და სცდილობდა უმნიშვნელო ან მხიარულს საგნებზე ეფიქრნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უცებ გრძნობდა, რომ მის უკან ბნელს კედელს შემპარავი სიკვდილი მისდევს უხმო ნაბიჯით. შემდეგ სიკვდილის აზრი ჰფლობდა მის ცნობიერებას, კლანჭებში იჭერდა მთელს მის არსებას და გათენებამდე სტანჯავდა, როგორც სისხლის მსმელი ორბი წიწილას. გათენებისას ცოტათი მშვიდდებოდა და იძინებდა მძიმე, მოუსვენარი ძილით

დღისით საშინელნი მოჩვენებანი იფანტებოდნენ მზის, სინათლით დაშინებულნი. ისინი მიძვრებოდნენ ძველს ქვევრებში, დაჩრდილულს ხრამებში, ასწლოვანი ცაცხვის ფუღუროებში და იქიდან უთვალთვალებდნენ დაღამებას.

ელენე სცდილობდა საქმით გართობილიყო, წიგნის კითხვით ან ოჯახობით დავიწყებისთვის მიეცა ღამის ხილვანი. ის ჯდებოდა ეზოში და უხმობდა შინაურს ფრინველებს. შემდეგ კალთიდან მუჭა-მუჭა სიმინდს იღებდა და დედის მიბაძვით მიწაზე აბნევდა. ქათმები დაუფიქრებლივ ჰკენკავდნენ, ბატები და იხვები კი ჯერ ერთი თვალით უმზერდნენ მარცვალს, შემდეგ მეორეთი. ბოლოს აჩქარებით იწყებდნენ ყლაპვას. ამპარტავანი, ღაზოიანი მამალი კი ერთხანს შორიდან უცქეროდა ამ ამბავს. შემდეგ ისიც კადრულობდა თავის ქვეშევრდომთა შორის გარევას და მათი ჯერის განაწილებას. დაკმაყოფილებულნი იხვები ერთად მწკრივდებოდნენ და ქანაობით წყლისკენ მიემართებოდნენ ყელის გასასველებლად თუ საცურაოდ. გზა-გზა დროგამოშვებით სრულიად უმიზეზოდ ხმა მაღლა გაიძახოდნენ. მამალი ინდაური კი ელენეს ემტერებოდა და მეტის-მეტად ავიწროებდა: უკან დასდევდა ლურჯ კისერ წაწვდილი, ფრთებ აწურული და თან რაღაცას ყურყულებდა. ქალი კიბეზე არბოდა და ზევიდან დასცქეროდა მდევარსა. ფრინველი კი კისრიდან დაწყებული ნისკარტამდე სისხლის ფრად იღებებოდა, უცნაურად იფუყებოდა და წრეს ულიდა ძალზე გაჯავრებული.

* * *

მოვიდა მსუქანი ღვინობისთვე და სოფლელები შეუდგნენ სიმინდის ტეხას და ყურძნის კრეფას. შავი მტევნები გოდრით მოჰქონდათ და ვეებერთელა საწნახელში ჰყრიდნენ. ბიჭები ფეხს იბანდნენ და საწნახელში არხეინად დასეირნობდნენ შარვლებ აწეულნი.

ურმით მოზიდულს სიმინდს ეზოში აგროვებდნენ მაღალს კალოზე. შემდეგ მთვარიანს ღამეში მეზობლის ბიჭები და გოგოები თავს იყრიდნენ და მხიარულად უდგებოდნენ მის გარჩევას: შრიალა ტანსაცმელს და წვერებს აცლიდნენ, გამხმარს ტაროებს ცალკე აწყობდნენ, ხოლო ბნელს ეზოში დანთებულს ცეცხლზე სწვავდნენ და სჭამდნენ.

ელენე სიმინდის ბურბუშელაში ჩაფლული, ცეცხლის ალს უცქეროდა და ყურს უგდებდა გლეხების სიმღერას. მისი ოცნება გურული კრიმანჭულის მსუბუქი ფრთებით თავისუფლად მიჰფრინავდა შორს, შორს სინათლის და სიყვარულის სამეფოში, ვარსკვლავებს იქით რომ იმყოფება. მხიარული და იმედიანი იყო ეს სიმღერა, თუმცა მისი სიტყვები წინაპართა ტანჯვაზე ლაპარაკობდნენ. მუდმივ წელში გაუტეხელი გურულები მღეროდნენ მოღალატე ალიფაშაზე, რომელმაც ხალხი ქობულეთში ჩაიყვანა და რუსების ხელში ჩაჰყარა. მათს ხმაში უფრო ბედნიერების იმედი გაისმოდა, ვიდრე სევდის სასოწარკვეთილება.

ელენე, როგორც ყოველი სუსტი ადამიანი, ძალაუნებურად ემორჩილებოდა ამ ბუნებრივი, ჯანსაღი ძალის გავლენას.

სურათი სომხის ქალის **ლუხანიანისა**, რომელიც შამილმა ტყვედ შეიპყრო 1845 წელში და შემდეგ მეუღლედ ჰყავდა, სურათი ინახება სტავროპოლის მუზეუმში.

ფიქრობდა თავისი წარსული ცხოვრების უკულმართობაზე, ენანებოდა თავისი ღალუპული ყმაწვილ-ქალობა უცხოელებს შორის რომ გაატარა უნაყოფოდ, უსარგებლოდ. ნათლად ჰხედავდა, რომ ბევრად უფრო ბედნიერი იქმნებოდა ამ მოუხეშავს, ძალოვან ხალხში, რომელიც ასეთი სიბნელითაა მოცული და ასე მოუდრეკად მიილტვის სინათლისაკენ. მაგრამ ეხლა ის ვეღარ გაიგებს მათ სიტყვებს, მათს ტკივილებს: ისინი კი ზურგს შეაქცევენ დამცინავი ღიმილით, როცა მის შეცოდებას გაიგებენ. შეიძლება კიდეც ჩაჰქოლონ. ეხლა ის მათთვის უსარგებლოა, როგორც ადგილობრივი მცენარე, რომელზედაც უხეიროდ გარეული ჯიშის ხეხილი დაამყნეს: მათ უგემურად ეჩვენებათ მისი ნაყოფი.

და ელენე შიშით და ძრწოლით ჰფიქრობდა თავის მომავალს ნაყოფზე. ეხლა აღარ ახარებდა პირმშოს გაჩენა. პირიქით ის მას ელოდა, როგორც დამნაშავე — სასჯელს, როგორც დატყვევებული ჯალათის შემოსვლას. მას შეჰნატროდა, სანამ სიყვარულის ნაყოფად სთვლიდა. ეხლა კი, როცა ილუზია დასამარებული იყო, მისთვის აუტანელი გაჰხდა თვით აზრი, რომ თავის მკერდ ქვეშ ულირსი და მახინჯი ადამიანის შვილს ატარებდა.

ამ აზრმა სიკვდილის შიშთან ერთად სრულიად მოიცო ახალგაზდა ქალის არსება, როცა ჭირნახულის ტეხა და კრეფა გათავდა და თან წაიღო ის პაწია სიხარული, რომელიც მან მიანიჭა.

ერთხელ ნაშუაღამევს ელენემ ჩვეულებრივად გამოიღვიძა და დაინახა, რომ ფანჯარაში ელვა ანათებდა. თუმცა ეშინოდა, მაგრამ რაღაც უძლეველი მიმზიდველი ძალის გავლენით თავი წამოჰყო, მკლავებზე დაეყრდნო ტ გარედ გაიხედა. მისი სული თითქო რაღაცას ელოდა ამ პირდაღებულ წყვდიადიდან. რამდენჯერმე თვალი მოჰკრა დაკლაკნილი ცეცხლის ალს, მდინარის თეთრ კენჭებიან ნაპირებს, წელში მოხრილს წყლის ჩამურს და პატარა წისქვილს. და უცებ მას ჩამურის ძახილში მგლოვიარე ქალს მაღალი ტირილი მოესმა, ხოლო წისქვილის ხმაში—მომაკვდავი ადამიანის ხრიალი. დაელვა. ელენემ ოდნავ შეჰკივლა, თვალებზე ხელები მიიფარა და ლოგინზე დაეცა შეძრწუნებული. წყლის აქაფებულს ტალღებში მან დაინახა თავისი სხეული, ტიტველი და თმა გაშლილი...

დიდ ხანს ეგდო უსულოდ, უმოძრაოდ. შემდეგ ნელ-ნელა გონს მოვიდა, თვალები ღვთისმშობლის ხატს მიაპყრო და მხურვალე გულით სთხოვა ღვთაებრივს ქალწულს, შეებრალებინა მისი საცოდავი თავი. მას არ უნდოდა სიკვდილი, არა, მას არ უნდოდა სიკვდილი.

* * *

მაგრამ პატარა არსება იზრდებოდა ქალის წიაღში და ყოველი წუთი მის მიერ შემატებული აკლდებოდა დედის სიცოცხლის დღეგრძელობას. ერთს დღეს, როცა შემოდგომის წვიმის წვეთები ერთხმად მისტიროდნენ ზაფხულის სითბოს და სიხარულს, ელენემ იგრძნო პირველი მოძრაობა, რომელიც დედაკაცში ყოველთვის შიშსა და განცვიფრებას იწვევს. გული შეუტოკდა და შეუფრთხიალდა მუჭაში დაჭერილ ჩიტივით. მეტი მალვა შეუძლებელი იყო და მან თითქმის შეუგნებლად გასწია დედის საძებნად.

დედა სამზარეულოს წინ იდგა და შინაურს ფრინველს საკენკს უყრიდა. ელენე სკამზე ჩამოჯდა და ისევე უშესაძალოდ, როგორც ოდესღაც ერთს ადამიანს, ისე ეხლა მეორე დამიანს გაუმხიღა თავისი მდგომარეობა. დედამ კაბის კალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინდოეთის პოეტი და ფილოსოფოსი **რაბინდრანათ ტაგორი**, რომელსაც ნობელის ჯილდო მიუსაჯეს.

(იხ. დღ. „სახ. გაზ.")

თას ხელი გაუშვა და სახტად დარჩა გაშეშებული. მის თავს, ძველო, მამაპაპური რწმენით გამსჭვალულს და სოფლის ზნეობით განსაზღვრულს, ვერ წარმოედგინა, თუ შესაძლებელი იყო ასეთი რამე. შემდეგ, როცა ნათქვამი სიტყვების აზრს როგორც იყო ჩასწვდა, დაინახა რომ მისი ქალი, რომელსაც აქამდე თითქმის მოკრძალებით ეპყრობოდა, დაპატარავდა მის თვალებში. მიუახლოვდა, თმაში ხელი სტაცა და სცემა მთელი ძალღონით, რაც შესწევს სოფლის დედაკაცს, რომელიც დილიან საღამომდე ბაღჩაში ან ყანაში მუშაობს. როცა გული იჯერა, სამზარეულო ოთახში შევიდა, კერას მიუჯდა და ხმა მაღლა გამოიტირა თავისი ქალიშვილი.

ელენე წყნარად ადგა, გარეშემო თვალები მიმოავლო და ჩქარის ნაბიჯით კიბეზე ავიდა. სააფთიაქო ოთახში შეიხედა. არავინ იყო. ფეხ-აკრეფით შევიდა და დაზგის უჯრა გამოაღო. დიდხანს ეძება ის უებარი წამალი, უტანჯველად რომ ჰკლავს. მაგრამ ამ დროს მეორე ოთახიდან მოისმა, როგორ გადაფურცლა მისმა ძმამ წიგნი. მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. აიღო პირველი შუშა, ხელთ რომ მოჰხვდა, კარბოლის სიმჟავე. თავის ოთახში შევიდა, კარები ჩაიკეტა და ფანჯარა გააღო. გაშლილს ლოგინზე მიწვა, მარცხენა ხელი ცხვირზე მოიჭირა და ბოთლი პირზე მიიყუდა, ძირამდე გამოსცალა და თავი უმწეოდ გადახარა ბალიშზე... გული შეუღონდა და თვალთ დაუბნელდა. შემდეგ წყვდიადში ერთი ადგილი ნელნელა განათდა: ამ განათლებულს ადგილზე დაინახა ვახტანგ დევრიანი, როგორსაც იცნობდა სიყვარულის საუკეთესო წუთებში. და ამ რამოდენიმე კარგი წუთისთვის ელენემ მას აპატია თავისი დიდი, ხანგრძლივი ტანჯვა...

შემდეგ ყველაფერი გაჰქრა.

გერონტი ქიქოძე.

კაცი და სიხარული

(რუსულიდან)

სცხოვრობდა ერთი კაცი. იგი სხვა ადამიანებს არა ჰგვანდა; იმის გული სხვა ადამიანებსავით მიწიერ სიხარულისთვის და სიტკბოებისთვის როდი სძგერდა. კეთილისადმი სიყვარულით აღსავსე იყო და ჰსურდა, რომ სიმართლე, ცოდნა და ბედნიერება ხალხში დამყარებულიყო.

თითქმის მთელი თავის სიცოცხლე ბოროტთან ბრძოლაში გაატარა. ბრმა ბედი, გვერდ რომ გაუვლიდა, სხვებს ჩინებული საუნჯით ასაჩუქრებდა, იმას წილად მარტო კი ტანჯვას არგუნებდა.

ასე გაიარა ბევრმა წელმა.

ბოლოს სიმართლის ქალ-ღმერთმა, რომელსაც ღმერთებისაგან უგზო-უკვლოდ ხეტიალი ჰქონდა მისჯილი, იმ დანაშაულისთვის, რომ უფლება ჰქონდა და მაინც დედა-მიწაზედ გამეფება ვერ შეიძლო,—შემთხვევით დაინახა იგი და ბედის სიმკაცრეზე გული სიბრაზით აევსო.

მან მოიხმო სიხარული, სიყვარულისა და ბედნიერების ასული და უბრძანა დედა-მიწაზე დაშვებულიყო კაცთან.

სიყვარულს უყვარდა იგი და კეთილ ქალ-ღმერთის დავალებას სიამოვნებით ასრულებდა. გათენდა დილა. კაცს ჯერ არ გაჰღვიძებოდა. გული აქამდის უცნობ არა მიწიერ ნეტარებით აღევსო. თვალები გაახილა და მის თავით მდგარი მთელ ქვეყნიერებაზე უმშვენიერესი ქალი დაინახა. ნაზ ტუჩებზე ბედნიერების ღიმი უთრთოდა. თვალებში სიყვარული უელავდა, თავზე მხიარულებისაგან დაწნული იმედის მწვანე გვირგვინი ედგა.

კაცმა კვლავ თვალები დახუჭა და იფიქრა, მშვენიერთაგან უმშვენიერესი სიზმარი ვნახეო, მაგრამ მეტის-მეტად განცვიფრდა, როდესაც შეჰნიშნა, რომ ქალი არა ჰქრებოდა, და ისევ ნაზი ღიმილით უცქეროდა მას.

მაშინ იმისმა გულმა სიხარული იგრძნო, რადგან იგი მასში შთაინერგა.

ამიერიდან სიხარული კაცს აღარა განშორებია. მშვენიერს სიზმრებს აჩვენებდა, დილა-საღამოს შუბლზე ნაზს კოცნასა ჰგრძნობდა; შრომის დროს გვერდით ედგა; ბრწყინვალე აზრები ებადებოდა და გულიც აღსავსე ჰქონთა ბედნიერებით.

კაცი უწინდებურად განაგრძობდა ცხოვრებას და ხალხისთვის შრომასა, მაგრამ ეხლა კი ჰგრძნობდა და იცოდა, რომ მის ტანჯვას ამაოდ არ ჩაევლო. დაინახა, რომ ხალხმა გადადგა ერთი მცირე, მხოლოდ მისთვის შესამჩნევი ნაბიჯი, იმ ნათელ მომავლისაკენ, საითკენაც იგი მოუწოდებდა.

„მარტო მე კი არა,—ჰფიქრობდა იგი,—სხვა ჩემისთანებიც სიცოცხლეს შესწირავენ ხალხს და გაუძღვებიან იქით, მყოფობადის ბრწყინვალე ტაძრისაკენ. ჩემი სურვილიც მარტო ეს იყო! რა ბედნიერია ჩემი სიცოცხლე! რა მშვენიერია ჩემი ბედი! სიხარულით სავსეა ჩემი გული!"

დრო ბიდიოდა; ძნელი სათქმელია ის დრო, თვეები, წელიწადები, თუ დღეები იყო. ეს იცოდა მხოლოდ მოხუცმა საუკუნოებამ, რომელიც იმას, თავის გრძელ ფურცელზე სწერდა; ხალხს კი ვერ შეეძლო ეთქვა, სად იყო მისი დასაწყისი და დასასრული.

შემდეგ სიმართლის ქალ-ღმერთამ შემთხვევით ხელ-ახლად დედა-მიწას დაჰხედა და სხვა კაცი დაინახა, რომლის გული უმაღლესი გრძნობით იყო აღსავსე, სიცოცხლე კი—მწუხარებითა. ბედის სიმკაცრისადმი მრისხანებით აღივსო და თავის საყვარელ სიხარულს მოუწოდა.

— „სიხარულო! ამ ტანჯულსაც დაანახვე შენი ღიმილი! —დეე, ამანაც დაინახოს შენს თვალებში ბრწყინავი ბედნიერება და შენი თავი, თავის გულში იგრძნოს! ამ ხანად მარტო ეს შემიძლიან მივანიჭო ხალხს".

როგორც მუდამ, ეხლაც დაემორჩილა მას სიხარული. მან უკანასკნელი ღამე დაჰყო კაცთან, რომელიც თავის ანკა-

ჩაის მინდვრები ჩაქვში, ბათომის ახლოს. სულ 50 დესეტინას შეიცავს. მოსავალი 250 ათას გირვანქა გამხმარ ჩაის იძლევა. სურათზე ნაჩვენებია ჩაის ფოთლების კრეფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სუფთა გულით, ჯერ, რომ დედა-მიწაზე არსად არ შეჰხვედროდა, ძვირფასი შეიქმნა მისთვის. და უკანასკნელად ნაზი ალერსით აკოცა მას.

კაცმა გაიღვიძა და რა კი სიხარული ვეღარა ნახა, მიჰხვდა, რომ მარტოკა დარჩა; იგრძნო, რომ იმის გულიდან გავიდა იგი. იმის თვალებში ბედნიერებისაგან მინიჭებული სინათლე დაბინდდა. მიმოიხედა, თავის ცხოვრება გაიხსენა და იგი ცხოვრება ხშირ ეკალნარში დაქნილ ძლივ შესამჩნევ ბილიკად ეჩვენა.

„რა გრძელი გზაა მყოობადის ტაძრისკენ მიმავალი!— იფიქრა იმან.—ხოლო ბოროტება კი რა ძლიერია! რა ადვილად ატყუებს ხალხს გამარჯვების ცრუ მშვენიერი მოჩვენება! გაივლის კი ამ გზას ბოლომდის!“

ხელში კალამი აიღო. იგი ეხლა მეტად მძიმე ეჩვენა, რადგან სიხარული გვერდით აღარ ედგა. ეხლა მის გულში მეტის ძლიერებით სიბრალულმა გაიღვიძა. (სიხარულმა თავის მაგიერ კაცს თავის უმეკროსი და დაუტოვა). კაცი იმათზე დაფიქრდა, ვისაც სიხარული არაოდეს არა სწვეოდა და ამ აზრმა იმის დაქანცულს გულს ახალი ძალ-ღონე ჩაუნერგა.

მან თავის უკანასკნელ შრომას მოჰკიდა ხელი.

ეს შრომა დიდი წიგნი იყო, სადაც იგი ხალხს უწერდა მისი დამქანცავი გზის ბრწყინვალე დასასრულს.

— ბოროტის ცდუნებას ნუ ერწმუნებით! გზა გრძელია, მაგრამ შორს, სულ წინ, იქაა ბედნიერება, თავისუფლება, სინათლე!

და სწერდა იგი იქამდინ, ვიდრე მის დაქანცულ ხელებს კალამი არ გაჰვარდა და მისი კეთილი თვალები სამუდამოდ არ დაეხუჭა.

მძიმე იყო მისთვის მომავალ დღეთა ბედნიერებაზე წერა მას შემდეგ, რაც სიხარული განშორდა მის გულს.

სალხმა იპოვნა იმისი წიგნი და დაიცვა იგი, ვითა თავდები, რომ მისთვის უკეთესი დღე გათენდება. მაგრამ ვერავინ ვერაოდეს ვერ შეიტყო, რომ ის წიგნი დასწერა კაცმა სიხარულისაგან დატოვებულმა.

გ. ავალიშვილი.

მინიატიურები

(ბ. ალტენბერგისა)

სიცრუე

რაოდენი სიცრუეა ჩვენს თანაშედროვე გახრწნილ ცხოვრებაში... როდესაც სადილად ზიხართ, მოდის ნაცნობი და გეუბნება:

— ნებას მომცემთ, შემოგიერთდე? ხელს ხომ არ შეგიშლით?

რა დამამცირებელი სიცრუეა, რა იეზუიტობაა ასეთი კითხვა, როდესაც დარწმუნებული ხარ, მას არ შესწევს გამბედაობა გიპასუხოს:

— არა! არ შეიძლება!

დეე ყველანი განმარტოებით ისხდნენ, ვიდრე გულწრფელად არ მიიპატიჟებენ. ადამიანები, რომელთაც სძულხარ, გიმეგობრდებიან, იმისთვის რომ ჰზიხარ დედა-კაცთან, რომლის ალერსი სწყურიანთ.

სირცხვილია! თავის დამცირებაა! გიახლოვდებიან როგორც მგელი ცხვრის ტყავში, მოგტაცებენ მსხვერპლს და გარბიან.

არვის შესწევს ძალა სინდისიერად მოგეპყროს საუბრის დროს, ან მოქმედებაში. მშიშარი, მხდალი გულკეთილობა მეფობს ყოველგან.

— ოჰ, გამარჯვებათ! როგორ სცხოვრობთ! ხომ კარგად? —თავისთვის კი ფიქრობს „ღმერთმა ქნას უარესად იყო“.

გული ვერ ჰბედავს გამომჟღავნებას, ოხრავს სიცრუით დამონებული. ვერავინ ჰბედავს თავის დაცვას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თრთის: მოულოდნელად არა ჩვეულებრივი რამ არ ჩავიდინოვო, როდესაც გკითხონ—„ნებას მომცემთ შემოგიერთდეთ?“—უპასუხე:

— არა! არ შეიძლება!—ეს არის რაინდული პასუხი. ის გაგშორდებათ ნაკიმი ძალლივით, და დარწმუნებული ბძანდებოდეთ ყოველ ღონეს იხმარს შური იძიოს.

ზღვის პირას

მხოლოდ ერთხელ გიხილე უცნობო, ალის ფრად მბრწყინავ საცურავ ტანთსაცმელში და ავად შევიქმენ. ყოველგან მეჩვენება შენი მომხიბლავი სხეული.

რატომ ვერ გავბედე მეთქვა:—სალამი, ზღვის დედოფალო!?—ეს ხომ არას გავნებდა, მე კი სევდას გამიქარვებდა, ისე ვით ცხოვრებით დაჩაგრულთ, იმედის სხივი გულს უსალკლდევებს, როდესაც გულწრფელად ლოცულობენ ტაძარში მადონას წინ. მიუწდომელ იდეალების მისწრაფებაში უდროოდ ვბერდებით, გვეკარგვის რწმენა და მოსაწყენი ხდება ჩვენთვის სიცოცხლე, მაგრამ აი გიხილე, საკვირველო მშვენიერებავ, კვლავ შევიქენ რწმენით აღვსილი.

აბრეშუმის ტანთსაცმელში, შეყვარებულის თვალთა ხედვას შესაძლოა სხვაც ეჩვენოს შენზე მშვენიერად, მაგრამ ასე ზღვის პირას, ბანაობის შემდეგ, საღ ჰაერზე დასველებულ, საცურავ ტანთსაცმელში, შენს გარდა ვერავინ გაუძლებდა ამ ნაზ ცდუნებას.

გიხილე და მას შემდეგ ავადა ვარ, რადგან ვერ ჩაგჩურჩულე: „დედოფალო“.

გეიტე

გეიტეს ერთი მეტად სამართლიანი აზრი აქვს გამოთქმული „შესაძლო იყო დაბადებულიყვნენ ზრდილობიანი ბავშვები, თვითონ მშობლები რომ ზრდილობიანი ყოფილიყვნენ“.

მხოლოდ ეს ერთი ფრაზა უფრო ძვირფასია ვიდრე მრავალი ტომი „ორგანიზმის განვითარებაზე“.

მეტ ნაწილს უსულგულო, ჭირვეულ, მოუხეშავ დედა-კაცთ არ სურთ ბავშვების ყოლა. ისინი. ერთ მოვალეობას მაინც ასრულებენ; არ გადააქვთ შთამომავლობაზე თვისი უზრდელობა და მოუხეშაობა.

ცხოვრების გზა უიმისოდაც ძნელია.

ჩაის ვარდი

ნ. შებუევისა

მან წამოიძახა!

— წითელი ვარდი ძრიელ დაჰშვენდებოდა ამ ტანთსაცმელს.

შემდეგ იფიქრა და დაუმატა:—მაგრამ ჩაის ვარდი ყველაზე უმჯობესი იქნებოდა.—ვუპასუხე:

— ოცი წამის შემდეგ თქვენ გიქნებათ ჩაის ვარდი.—მე არ ვიცოდი რამდენი ღირდა ჩაის ვარდი; ხელში დაბღუჯული მქონდა ვერცხლის მანეთიანი, ერთად-ერთი ფული, რომელიც მქონდა მე იმ სალამოს და ვარდის საყიდლად გავრბოდი.

გზაში დავეჯახე მოხუც მათხოვარ ქალს, ხელში ბავშვი ეჭირა, გვერდით უდგა პატარა ავადმყოფი გოგო, რომელიც შემაძრწუნებელის ხმით იხვეწებოდა:

— ღვთის გულისათვის, მოიღეთ ერთი კაპიკი!..

მუჯლუგუნით მოვიშორე მოხუცებული ქალი, პატარა გოგოს, რომელიც ცალი ხელით მის კალთას ებღაუჭებოდა, უნებლიეთ ფეხზე-ფეხი დავადგი. საბრალომ მწარედ ამოიგმინა და ისეთი ნაზი სიბრალულით, ისეთი გამომეტყველებით მომაცქერდა, რომ გული მომიკვდა, მზად ვიყავ მეტირა...

მაგრამ ვსძლიე სულმდაბლობას, გეფიცები ზოია! ერთი წუთითაც არ გამიფიქრია მიმეცა შეურაცყოფილ, შეშინებულ, მათხოვრისათვის ის მანეთიანი, მათ თვალ-წინ შევაღე კარი, ამოვარჩიე საუკეთესო ვარდი. ვგრძნობდი, რომ მომჩერებოდა სამი წყვილი მშიერთა თვალები მაგრამ, გეფიცები ზოია, სირცხვილის გრძნობას, ოდნავაც არ აღუშფოთებია ჩემი აღფრთოვანება, რადგანაც მე ვასრულებდი შენს წადილს, მე ვიყიდდი ამ ჩაის ვარდს, თუნდ სამივენი მომკვდარიყვნენ ჩემს წინ შიმშილით. აი, თქვენი ჩაის ვარდი, ნება მიბოძეთ მე თვით გაგიბნიოთ თმის კულულში.

— როგორ? როგორ ბედავთ? თქვენ თმას ამიწეწთ!— აიღო ჩაის ვარდი და თმაზე მიიდო.

— არა, წითელი ვარდი უფრო მოუხდება ამ ტანთსაცმელს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

და ვიდრე ჩემს პასუხს მიიღებდა, ჩაის ვარდს ბუხარში უძახა.

მიხ. ბოჭორიშვილი.

ტფილისი. მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.